



საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია
საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის
მდივნის
განკარგულება №02-686/2018

საქართველოს პრეზიდენტის 2018 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებისათვის ა. (ა). ი. პ.
„ახალი თაობა დემოკრატიული საქართველოსთვის“ დამკვირვებლების რეგისტრაციის
გაუქმების თაობაზე

ქ. თბილისი

2018 წელი 18 ნოემბერი

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ მე-15 მუხლის მე-4 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, 77-ე მუხლის მე-5 პუნქტის, 78-ე მუხლის მე-12 პუნქტისა და ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის ა. (ა). ი. პ. „ახალი თაობა დემოკრატიული საქართველოსთვის“ ხელმძღვანელის ტატიანა ხოხიაშვილის მიერ წარმოდგენილი 2018 წლის 18 ნოემბრის განცხადების (ცესკოში რეგისტრაციის №5898) შესაბამისად, ვადგენ:

მუხლი 1. გაუქმდეთ რეგისტრაცია „საქართველოს პრეზიდენტის 2018 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებისათვის ა. (ა). ი. პ. „ახალი თაობა დემოკრატიული საქართველოსთვის“ დამკვირვებლების რეგისტრაციის თაობაზე“ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მდივნის 2018 წლის 26 აგვისტოს №02-082/2018 განკარგულებით რეგისტრირებულ დამკვირვებლებს: №2 - ზურაბ ცალუღელაშვილსა და №4 - ანასტასია ცალუღელაშვილს.

მუხლი 2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6) მისი გამოცემიდან 2 კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 3. ეს განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

კომისიის მდივანი

გიორგი ჯავახიშვილი